ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG) და ხელს უწყობს მათ მიღწევას.




მდგრადი განვითარების მიზანი N7:

- უნივერსალური წვდომა თანამედროვე ენერგიაზე
- განახლებადი ენერგიის წილის გლობალური ზრდა
- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება
- კვლევებზე, ტექნოლოგიებზე და ინვესტიციებზე წვდომის ხელშეწყობა
- განვითარებადი ქვეყნებისთვის ენერგეტიკული სერვისების გაფართოება და წახალისება

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში:

საჯარო განხილვებზე ვირტუალურად დასასწრებად დაასკანერეთ მოცემული QR კოდი და მიჰყევით ბმულს:

**პირველი საჯარო განხილვა**
11 დეკემბერი
11:00 სთ.

**მეორე საჯარო განხილვა**
15 დეკემბერი
16:00 სთ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

# საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება

## საჯარო განხილვები



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEO | Energy Community

ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ხედვებს, პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს ენერგეტიკის, კლიმატის, გარემოს დაცვის და ენერგოეფექტურობის მიმართულებით 2030 წლამდე და გრძელვადიან პერსპექტივაში 2050 წლამდე.

სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის დანართი არის ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა, რომელიც აგებულია არსებული ეროვნული სტრატეგიებისა და გეგმების საფუძველზე. გეგმა შემუშავდა “ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით.

დოკუმენტში განხილულია ეროვნული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო განსახორციელებელი ღონისძიებები ენერგეტიკული გაერთიანების ხუთი ძირითადი მიმართულების მიხედვით.

ეს მიმართულებებია:

- დეკარბონიზაცია
- ენერგოეფექტურობა
- ენერგეტიკული უსაფრთხოება
- შიდა ენერგობაზარი
- კვლევები, ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზანია, ყველა მომხმარებლისთვის, სხვადასხვა ტიპის, მაღალი ხარისხის ენერგიის საიმედო და უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა.

ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინსტიტუტების, სექტორის მონაწილეებისა და განსაკუთრებით კი, მოქალაქეების თანამონაწილეობა ენერგეტიკული პოლიტიკით დასახული მიზნების მიღწევაში. შესაბამისად, სახელმწიფო მზად არის ყველა მხარესთან გამჭირვალე და კოორდინირებული მუშაობისთვის.

